3 მატჩი – 3 ფრე

11 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა თავიანთი ბოლო მატჩი ჩაატარეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ქ. კარლსრუეში ისინი შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს – „კარლსრუეს“, რომელიც ერთ–ერთ უძლიერესად ითვლება თავის ქვეყანაში.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს მატჩი: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი, იამანიძე, კალოევი (ხუნდაძე), ბარქაია, მესხი (მელაშვილი).

პირველ ტაიმში ბრძოლას თანაბარი ხასიათი ჰქონდა და დამთავრდა უშედეგოდ – 0:0. შესვენების შემდეგ, მე–10 წუთზე ბარქაიამ ზუსტად გამოიყენა იამანიძის გადაცემა და გახსნა ანგარიში – 1:0. თბილისელებმა ეს ბურთი შეინარჩუნეს 89–ე წუთამდე, მაგრამ მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას აკლდა 30 წამი, ხურცილავამ და ლეჟავამ ცუდად გაითამაშეს ბურთი კარის სიახლოვეს, ლეჟავამ ვერ შეძლო შეეჩერებინა ბურთი ხელში და გერმანელებმა დაუყოვნებლივ გამოიყენეს ეს უხეში შეცდომა – 1:1.

14 აგვისტო, 1962 წ.